...ვამბა და რედაქცია
...ილისი, სასახლის ქ.,
...-აზნაურო ქარვასლა

...მომწერნი გაზეთის დასაკვე-
...ამართოვენ რედაქციას დილის
საათამდე და საღამოს 6—7
... ქ. საზ." წიგნის მაღაზიას.
...მოუწერავ წერილებს რე-
...დაქცია არ ბეჭდავს.
...პირ მოლაპარაკება რედაქ-
...რთან შეიძლება ყოველ დღე.
...ელეფონი № 363

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური გამოცემა

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ერთი
თვით 60 კაპ.
თითო ნომერი 3 კაპეკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ
გვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე—5 კ.

Типографія и Редакція
„Цнобисъ Пурцели"
Тифлисъ, Дворцовая ул. д. Дворянства.
Телефонъ № 363



წლის დამლევამდე
...აზეთი „ცნობის ფურცელი"
ღირება 4 მან.



სამკურნალო და სასარგებლო დასალევი



ქეფირი და კუმისი



ერთად ერთი ქარხანა, რომელიც არსებ-
ობს 1887 წ.
მოწონებული სამკურნალო უწყებისაგან და მენდლით დაჯილ-
დოვებული ორს გამოფენაზე.
იყიდება მხოლოდ დ. კორონასთან ლორის-მელიქოვის ქუ-
...აზე ზუბალოვის სახლებში აფიცერთა საეკონომიო საზოგა-
...დოების წევრთათვის და მოწაფეთათვის, ფასი დაკლებულია.
(100—14) დ. კორონა.



თავ. გიორგი და ლუარსაბ მაყაშვილების



ღვინის საწყობი
„იყალთო"



...ელიც იმყოფება გოლოვინის პროსპექტზე, სახლი არწრუნის № 19.
...ამით ვაუწყებთ საზოგადოებას, რომ ამ დღეებში მივიღეთ:
... ხორხელ-ჯანაანილან სიქო აბელაშვილის ღვინოები. ამასთა
მივიღეთ:
იყალთოდან, რუისპირიდან და ახმეტიდან.
მსყიდველებს დაეთმობათ შემდეგ დაკლებულ ფასებში.
ვინც ათს ბოთლს ერთად იყიდის

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ...0 კაპ. ...ეთმო-ბათ | 25 კაპ. დაუთმო-ბათ | 30 კაპ. დაუთმო-ბათ | 40 კაპ. დაუთმო-ბათ | 50 კ. დაუთ-მობათ | 60 კ. დაუთ-მობათ | 80 კ. დაუთ-მობათ | 1 მან. დაუთ-მობათ |
| ...80 კ. | 2 მ. 20 კ. | 2 მ 50 კ. | 3 მ. 30 კ. | 4 მან. | 5 მან. | 6 მ 50 კ. | 7 მ. 50 კ. |

...ამასთანავე ქართველ საზოგადოებისთვის შემოვიღეთ გაუწურავი ღვი-
...ნოები. იმედი გვაქვს ჩვენის ღვინოებით საზოგადოება კმაყოფილი დარჩეს.
(...—6) პატივისცემით თავ. გიორგი და ლუარსაბ მაყაშვილები.



!!მიაქციეთ ყურადღება!!
გოლოვინის პროსპექტზე, ზუბალოვის სახლებში
ამ ცოტა ხანში გაიხსნება
...ჩინეთის მაღაზია
ვინც ჩაის იყიდის იმას ... თამ მიეცემა რაიმე ნივთი. ვინც
...ილის 12 მან. ჩაის თუნდაც ... ვა და სხვა დროს, 2 მან. იმას
...უქრად მიეცემა ჩაის ჟოლგლ... ამ მოწყობილობა. (100—17)



ექიმი
კ. მ. ჩიქოვანი
ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დი-
ლის 11—12-მდე და საღამოს 7—
8 საათ.
მიხეილის ქუჩა, № 16.
Докторъ К. М. Чиковани
Михайлов., № 16.



სამკურნალო და ამბულატორია
ს. გ. თოფურიასი
ქუთაისში.
სამკურნალოში 50 საწოლია ავად-
მყოფთათვის მიიღებიან ავადმყოფე-
ნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურ-
გო, თვალისა და დედათა ავადმყო-
ფობისანი,
გადამდებ სენით ავადმყოფნი არ
მიიღებიან.
ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11
საათიდგან ნაშუადღევის 3 საა-
თამდე. შინაგან და ნერვების ავად-
მყოფობას სწამლობს ს. გ. თო-
ფურია. საქირურგო ავადმყოფობას
და სიფილისს ფ. კ. გერრატი.
დედათა ავადმყოფობას მკურნალი
ქალი მ. თ. კოგანი.
თვალების ავადმყოფობას—ი. კ.
ვარშავსკი.
ამბულატორიასთან არის კაბინეტი
საექიმო და საბაქტერიოლოგიო
გამოკვლევისათვის, ელექტრონით
წამლობისათვისა და მასაჟისთვის.
სამკურნალო დირექტორი ს. გ. თო-
ფურია
Лѣчебница В. С. Топурія въ Кутаисѣ


# ახალი ამბავი

*** ახალი გუბერნატორი. გუშინ, ხუთშაბათს, 29 აპრილს, ბ-ნმა ტფილისის ვიცე-გუბერნატორმა სტა...ვანოვიჩმა, დილის 10 საათზე, გუბერნატორის კანცელარიაში წარუდგინა ბ-ნ ტფილისის გუბერნატორს პოლკოვნიკს სვეჩინს ყველა მოხელენი.

*** ეგზარხოსის განკარგულება ყოვლად სამღვდელო, საქართველოს ეგზარხოსის ფლობიანეს განკარგულებით, შაბათს, 1 მაისს, სიონის სობოროში სწირავენ, გორის ეპისკოპოსი ლეონიდი და ალავერდისა კირიონი. წირვი შემდეგ გადახდილი იქმნება პანაშვიდი თავ გივი ამილახვარის სულის მოსახსენებლად, რომელმაც 1727 წ. დიდი შრომა და ღვაწლი მიიღო.

*** ქალაქის გამგეობა. გუშინ პროკურორის თანაშემწემ ბ. ვორონოვმა და გამომძიებელმა ბ. აბელმა დაიწყეს ზოგიერთი დოკუმენტების სინჯვა ქალაქის გამგეობისა, რომელთაც ბრალდებათ უწესოება.

*** მკვლელობა. გუშინ წინ ვერის ერთ-ერთ დუქანში მოხდა საზერელი მკვლელობა. ქეიფობდა ხუთი იმერელი, უცბად შევარდნილა აგრეთვე შეიარაღებული იმერელივე და ხანჯლით დაუკუწავს ერთ-ერთი მოქეიფეთაგანი, რომელიც იქვე მომკვდარა.

*** აკალოდოჩნიკის დაჭრა. 26 აპრილს, საღამოს 7 საათზე მალაკნების სასაფლაოზე დიდი ჩხუბი და დავიდარაბა ასტყდა მალაკნებ შორის. ამ ჩხუბის დროს დანით დასჭრეს თავში აკალოდოჩნი ნაძირატელი მეცხრე განყოფილებისა რაზუმოვსკი.

*** ს. ზემო-თეკლათი (სამეგრელო) დღეობა. ს. ზემო-თეკლათში ჯარიანობა და დღეობა იციან, ყოველ წლივ აღდგომის მეოთხე დღეს. მოდიან სამეგრელოს სხვა-და-სხვა სოფლებიდან ხალხი, ზოგი საქეიფოდ და დროს გასატარებლად, ზოგს კი დანაპირი ექნება სანთელ-საკმელი, ფული თუ ცხვარი ხატს შესწიროს. ამ დღეს კარგი შემოსავალი აქვს ამ ეკლესიასა. წელს ჩვეულებრივ ხალხი შეიკრიბა ეკლესიის გალავნის გარედ საკმაოდ და გაჩაღდა, ჯირითობა და ცხენების ერთმანეთის შეჯახება. ბოლოს დანიშნულ ადგილამდი მიაჭენებდნენ წყვილ-წყვილად ცხენებს, თუ ვისი ცხენი გაუსწრობდა. ჯარიანობა მშვიდობით და უხიფათოდ გათავდა. არავითარი ჩხუბი არ ყოფილა. ამ ეკლესიის მრევლს, ცოტა ხარჯი არა აქვს ამ დღეს. თითოეულს ოჯახში 5—40 დაპატიჟებული სტუმარი ჰყავს და ტყუილ-უბრა-

ლოდ ეხარჯება ამდენი ხარჯი-მარჯი, ნეტავ როდის შევესწრებით ამგვარი უბრალო ხარჯის აცილებას.

ჯოჯოხეთის მაშხალა

*** **ჩოხატაური** მადლობის გამოცხადება. ბატონო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ თქვენ პატივცემულ გაზეთის საშუალებით ულრმესი მადლობა გამოუცხადოთ მელიტონ ივანეს-ძე პაიჭაძეს, რომელმაც ჩოხატაურის უფასო სამკითხველოს შემოსწირა 12 ცალი პატარა წიგნაკები. იმედია სხვებიც ხელს შეუწყობენ ჩვენს სამკითხველოს.

წიგნები ამ ადრესით გამოიგზავნება Въ м. Чохатауры. Безплатной читальнѣ.

ბიბლიოთეკის გამგე ნიკ. მეგრელიშვილი.

*** **ს. ახალ-უბანი** (ქართლი). ცოფიანი ხარი. ამას წინად აქ გაცოფიანდა ერთი ხარი, მთელი სოფელი ყალხს დადგა, ბევრი საშვალება იხმარეს და ვერა უყვეს რა. შემდეგ გაცოფებული ერთ ორმოში ჩავარდა, საიდგანაც მოუხერხებელი იყო ამოსვლა. გლეხებმა იდროვეს და ხანჯალი ყელში გაუყარეს, მაგრამ იქიდანაც როგორც იყო ამოვარდა, გაიქცა.—შემდეგ სოფელში ჩაირბინა და ერთ ქალს ურქინა, რომელიც გაცოფიანდა. ხარი როგორც იყო მოჰკლეს და ქალიც წამლობის შემდეგ მოარჩინეს როგორც იყო. ეხლა ეშინიათ კიდევ, ხელ-მეორეთ ცოფი არ მოერიოსო, მაგრამ არა ვგონებ ხელ-შეწყობილათ მორჩენილი ცოფისაგან, ქალი, კიდევ გაცოფიანდეს...

კ. ფრონის-პირელი

*** **თელავი.** გაჭრის ოინი. პური, სიტყვა პური, ყველგან და ყოველთვის მოწიწებით იხსენიებენ და ფიცულობენ სეფისკვრის სახელით. თელავის თვით მართველობამ-კი შეურაცხჰყო და შემუსრა ცეცხლით. კვირას 25 აპრილს თელავის სასწორთან ხუთმეტიოდე დიდ გამომცხვარ პურს ნავთი დაასხეს, მერე ცეცხლი წაუკიდეს და დაწვეს. აი ამ საქმის ვითარება როგორა ყოფილა: ერთ თელაველ ვაჭარს წისქვილის მინდის ფქვილი მიუყიდნია ერთ ყასბისთვის, ამას კიდევ გამოუცხვია და მწარე გამოსდგომია, ჩამოუტანია ბაზარში გამომცხვარი პური და უჩივლნია. თელავის თვით მმართველობამაც, არც აილო არც დაილო, ცეცხლი წაუკიდა და დასწვა. ამ დღეს მთელ თელავში ამ ამბავმა მითქმა-მოთქმა გამოიწვია, ჰკიცხავდნენ და იძახოდნენ: „თუ ისეთი თვისებისა იყო, რომ ადამიანს არ ეჭმეოდა, საქონელს ხომ არაფერს დაუშავებდა, თუ ამათაც ავნებდა და გაუქმება უნდოდათ, მაშინ წყალს მაინც გაატანდნენო“ კარგია, ძალიან კარგი თელავის თვით მმართველობა ყურ-ფხიზლათ იყოს, ჰსინჯავდნენ გამომცხვარ პურს და ისე-კი აღარ მოიქცნენ როგორც ზემო აღნიშნულ შემთხვევაში.

თელაველი.

*** **სად ქურდამირი.** (ბაქოს მხარე) ქურდამირის ქართველობა. ქურდამირი არსებობს ბაქოსა და განჯის შუა. სადგურთან მცხოვრებნი შესდგებიან ყველა ეროვნობის მოსამსახურე პირებისაგან, რომელთა შორისაც ქართველობა მოიპოვება ხუთიოდე. სასიამოვნოთ უნდა ჩაითვალოს აქაური ქართველობისათვის, რომ ერთი ქართველი კიდევ ემატება მათ გუნდს. ქურდამირის სადგურის უფროსი გადაიყვანეს, რომლის მოადგილეთაც დანიშნეს ქართველი. იმედია ახალი სადგურის უმფროსი ძველზე უფრო მეტად დაიმსახურებს მცხოვრებთა პატივისცემას, რომელითაც გამოთხოვების ვახშამი გაუმართეს და სახსოვრად მიართვეს ფასიანი ნივთი. თუმცა რავდენიმე ქართველია აქა, მაგრამ მაინც თითქმის ყველანაირი ჟურნალ გაზეთობა მოსდით: „ივერია“, „ცნობის ფურცელი“ „კვალი“, „მოამბე“ და „კრებული“ —რომლითაც ყველანი სარგებლობენ ურთი-ერთაგან, რითაც შეძლება ეძლევათ ადევნონ თვალყური ქართველთა ცხოვრების მსვლელობას. ამ ქართველთა შორის სცხოვრობს რკინის გზის ქართველი ექიმი, რომელსაც დიდი სიყვარული მოუპოვებია აქ მცხოვრებთა შორის თავის უსასყიდლო შრომა-დახმარებით, რის გამოც დიდი პატივისცემის ღირსია.

ღვინის წარმოება. სადგურთან გაშენებულია თათრის სოფელი—ქურდამირი, რაც უფრო ქალასა ჰგავს ვიდრე სოფელს, რადგანაც აქაურ ხუთასამდის მოსახლეს ყველას რამდენიმე დღიურიანი ვენახები აქვთ, სადაც არის გაშენებული ხეხილი და ზედაც გაშენებულია ვაზი, რომლის ნაყოფით უფრო სარგებლობენ მოსული ღვინის გამკეთებელნი, რადგანაც ყიდულობენ ნახევარ ფასად ყურძენს თათრებისაგან, რომელთაც სარწმუნოება ნებას არ აძლევს ღვინის დაყენებას; ზემო მოყვანილნი პირნი აყენებენ მშვენიერ ღვინოს და ჰყიდიან კარგ ფასში.

— მამასახლისის გამოცვლა. წინად სოფლის მამასახლისათ ჰყავდათ სომეხი, რომელიც რაღაც უკანონო საქციელისა გამო დაითხოვეს და მის მაგიერ დანიშნეს თათარი.

— ერთკლასიანი სასწავლებელი. ქურთამირში არსებობს ერთ კლასიანი სასწავლებელი, სადაც სწავლობენ ორმოცამდის მოსწავლე, რომლის მასწავლებლათაც არის ქართველი. ამ სკოლაშივე ასწავლიან აბრეშუმის მოვლა-მოშენებას, რისთვისაც აქაურ მასწავლებელს და სკოლას მოსვლია ქების ფურცელი. ამ სკოლასავე აქვს მდიდარი წიგნთ-საცავი, მაგრამ, ეს ამ სოფლის მცხოვრებთათვის უსარგებლოთ უნდა ჩაითვალოს, რადგანაც ამ სოფლის მცხოვრებთ იმდენათ არ იციან რუსული ენა, რომ წიგნების კითხვა შეეძლოთ.

— აბრეშუმის ჭიის მოვლა. აქაურ მცხოვრებთ თითქმის ყველას ჰყავს აბრეშუმის ჭია, რომლის თესლს ზოგნი ნაღდ ფულზე ყიდულობენ და ზოგიც სამესამედოთ აქაური ჩარჩებისაგან იღებენ.

— სანოვაგის სიძვირე. აქაურ სანოვაგით მოვაჭრეთა თავწასულობას საზღვარი არა აქვს. როგორც თვითონა სურთ ისე ჰყიდიან; ამათთვის არა რა გვარი ნიხრი არ არის დაწესებული. გირვანქა ცხვრის ხორცსა ჰყიდიან სამ შაურათ და მეორე ხარისხის პურს შაურათ. საკვირველეებაა სწორეთ აქაური მოვაჭრეთა ამბავი; აქედან სხვა ქალაქებში მიუდით ცხვარი გასასყიდათ, სადაც ჰყიდიან გირვანქას არა უმეტესს თორმეტი კაპეიკისა და აქ რაღათ უნდა იყვეს ასე ძვირი! ეს უთუოდ აქაური პოლიციის უყურადღებობის ნაყოფი უნდა იყვეს.

— ტფილისის მეყველეები ქურდამირეში. ერთ თვეზე მეტია ტფილისიდგან მოვიდნენ მეყველეები და დაბანაკდნენ აქაურ მეცხვარეთა ფარეხებთან, სადაც ყიდულობენ ცხვრის რძეს დააყენებენ თუშურ ყველის გვარ ყველს, ტფილისში რომ ჩამოაქვთ, ასაღებენ ისე როგორც თუშურს ყველს, რომელიც თითქმის არც-კი ჩამოუვარდება ნამდვილს თუშურს.

*** **ს. საჯავახო.** (გურია). უბედური შემთხვევა. 16 აპრილს სოფ. საჯავახოში შემდეგი უბედურება მოხდა: ამ სოფლის მცხოვრებმა, სოფრომ მარშანიამ მოიწადინა ხეზე გასვლა საქონლისათვის ხის ფოთოლის ჩამოსასხვეპად, მაგრამ უეცრად ტოტი მოუტყდა და ოთხი საჟენის სიმაღლიდან საბრალო ძირს ჩამოვარდა და ძრიელ დაშავდა, რის გამო მეორე დღეს გარდაიცვალა. საბრალოს წვრილი ცოლშვილი დარჩა.

## სახალხო ჰიგიენა

საუბარი ჯანმრთელობის შესახებ

(რუსულიდან)

ჰაერის შესახებ *).

**III** ბუხრის გახურება. როცა ხე
იწვის ბუხარში ან ღუმელში, მა
მას გამოსდის მეტად მავნებელ
სუნი, რომლისგანაც ხშირად წა
მოსდგება სიკვდილი. რუსები უგა
ეძახიან ამისთვის დიდი ყურადღე
ბა უნდა მიაქციოთ, რომ სახლში
ნახშირის სუნი არ დადგეს. ნა
შირის სუნისაგან კაცს თავბრ
ესხმება, მოსდის სისუსტე და
გადაჭარბებული მოუვიდა, მა
სიკვდილიც ხშირია, მეტადრ
ზამთრობით სახლებში მომეტებ
შემთხვევაში ნახშირის სუნი ტრ
ლებს, რაიც მავნებელია ჯანმრთ
ლობისთვის, აგრეთვე თამბაქ
კომლი ძალიან აფუჭებს ჰაერ
მავნებელია აგრეთვე ბუხრის ძა
ზე გახურება, დიდი სიცხისაგ
კაცს სხეული უდუნდება და გ
ლის ცემასაც უჩქარებს. რო
ოთახში ნახშირის სუნი (უგა
სდგას ან მეტად ცხელა ჰაე
უნდა გაიწმინდოს კარების
ფანჯრების გაღებით.

**IV** ლამფების ანთება. ნავთ
ლამფის გაზი შეშის გაზზე უფ
მავნებელია. წინანდელ დრო
როცა ნავთის ხსენება არც კი ი
სახლს ანათებდნენ მკვრით, რო
ლის კომლითაც სახლი გამჭვარ
ლული იყო ხოლმე. ეხლა მა
ლობა ღმერთს, გვაქვს ნავთი
იარაღები მის გამოსაყენებლა
ლამფის ანთებაზე კაცი ფრთხილ
უნდა იყოს: ლამფა არ უნდა იყ
ძალიან ამოწეული, რომ ალი
ვით შუშაში ამოდიოდეს და ა
ძალიან ძირს ჩაწეული. მხედველ
ბაში უნდა გვქონდეს, რომ ლ
ფა შუათანათ ენთოს არც მე
არც ნაკლები. ლამფის გაზიც
ლიან ავნებს ჯანმრთელობას.

**V** ადამიანის სუნთქვა და მა
ჰაერი. ოთხ-კუთხივ დაკეტილ
თში, რომ კაცი ჩავაგდოთ და
ჩობა, იმიტომ რომ ჰაერი გაფ
და; კაცი ისუნთქავს სუფთა ჰა
და უვარგის კი ამოისუნთქავს ხო
მე. საცა ბევრი ხალხი იყ
ხოლმე თავს იქ ხშირათ ფუჭდ
ჰაერი და ამისაგან არის, რომ
სუსტი აგებულების ადამიანს
ლი წაუვა ხოლმე. ჰაერი ფუჭ
ბა არამც თუ ამონასუნთქი
რით, არამედ იმითაც, რაც კა
სხეულიდან სუნი ამოდის ხოლ
მეტადრე ღამე ძილში. ოთა
საცა ბევრსა სძინავს, დილაზე
შესვლა შეუძლებელია ჰაერის
მო. უნდა ძალიან ფრთხილ
იყოთ, რომ ჰაერი საცხოვრებ
ოთახში სუფთა იყოს, ამისათ
საჭიროა ძილის წინ ნახევარი
თით გააღოთ ფანჯრები, აგრე
დილით, და თუ სახლში ავადმ
ფია, მაშინ უფრო ხშირად უ
გაასუფთაოთ ჰაერი, ავადმყ
უნდა დაჰხუროთ თბილი სა
რები ისე გააღოთ.

*) იხ. «ცნ. ფურც.» № 806.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სარეცხა და მრეცხავობა. სა-
ხის ორთქლიც ძალიან მავნებე-
კაცისათვის. სარეცხი არ უნ-
ვაირეცხოს სადგომ ოთახში,
ცხის ორთქლისაგან ჰაერის
ქების გარდა ჩნდება კედლე-
სინესტე.

მტვერი. ეკუთვნის ერთ მავ-
ლ ნივთიერებათაგანს, რომე-
ჰაერში ურევია. მტვერი,
ლიც დაჯდება კედლებზე და
საგნებზე უნდა გადმოიწმინ-
სველი ფალასით, რომ იქი-
სხვაზე აღარ გადავიდეს. სა-
ოსნოებში, სადაც მუშაობენ
გლები, მეტყავეები და სხვა
ოსნები უთუოდ დრო გამოშ-
თ ჰაერი უნდა გაიწმინდოს
ჯრების და კარების გაღებით.

ეგ ამ საუბრიდან ჩვენ გავიგეთ,
1) სუფთა ჰაერი პირველი
ალება ჯანმრთელობისათვის;
ველაფერი რაც ჰაერს აფუ-
, ან უნდა მოვიშოროთ ან და
ბელი გავხადოთ; 3) პირველი
ი რომ ჰაერი უვნებელი იყოს,
ად კარები და ფანჯრები უნ-
ვაღოთ ხოლმე.

შ. კ—ძე

(შემდეგი იქნება)

## ყურმოკრული საუბარი

—

— შენ სულ ცოლზე სჩივი, თითქოს
ოს დამნაშავე მუდმივ ჩხუბსა და
მით და შენი ბრალი-კია ყოვე-
.

— რაშია ჩემი ბრალი?

— რაშია და იმაში, რომ მთელი
შინა ზიხარ, არსად არ დადიხარ,
ითხარი განა ცოლისათვის სამძი-
რ არის, რომ მთელი დღე არ
არდე და თავისუფლება არ მისცე?

# სარგებლო ცნობა

ზნეობა და ჯანმრთელობა

. სარწმუნოებისათვის. ღმერ-
არს ოდენ შემოქმედი, დამბადებე-
მმართებელი ქვეყანისა, ყოვლისა
დებელი ან მიუწთომელი.

ზე არა არს ღმერთი, გარნა მარა
ედი მისი ანათლებს ქვეყანასა, მხუ-
ობა მისი აძლევს სიცოცხლეს მცე-
თა.

ასხურება, მადლობა და ქება ჯერ
მხოლოდ ერთისა ღვთისა უზენა-
ა.

ან დაჰბადა ცა ხელითა თვისითა და
ითა დანიშნა სლვა ვარსკვლავთა.

დაუდვა საზღვარი ოკეანესა, რათა
გარდახდეს და გულის წყრომ, თვა-
სტიქიონთა დაიცხროს.

ტივი ეც დიდებასა ყოვლისა შემ-
ქმედისა და გაუფრთხილდი მასს წყე-
რათა არა წარწყმდე.

ანა-მხილველობა მეფობს ყოველს
სქმეში. იგი ჰხანაგებს, დაიცავს
და ჰქონს ყოვლისავე დაუსრულებელი-
თა სიბრძნითა.

მან განაწესა სჯული წარმართებისა-
თვის ქვეყანისა; —სჯულნი უცვალებელ-
ნი, საკვირველებისა ღირსნი, სახენი
სხვა-და სხვა არსებათა და ყოველნი
ემორჩილებიან მისსა ნებასა.

ღმერთი ღრმასა გონებასა თვისსა
ჰხედავს ყოველსა აწმყოსა, წარმოად-
გენს წარსულთა, და მიუწთომელი ჟამი
მომავალისა ახლოდ არს და ცხად წინა-
შე თვალთა მისთა.

უშინაგანესი საიდუმლო გულისა შე-
ნისა ცხად არს მისდამი, მან უწყის
უწინარესვე განზრახულნი შენნი ვიდ-
რემდის იფიქრებდე.

სახიერება ღვთისა ბრწყინავს ყოვე-
ლთა შინა საქმეთა მისთა. იგი არს წყა-
რო ბრწყინვალებისა და საშუალი წერ-
ტილი სრულებისთა.

ქმნილნი მისნი, გამოსრულნი ხელით
მისით ადიდებენ საღმრთოსა სახიერე-
ბასა მისსა და უგალობენ ერსა. მან შე-
მოსა იგინი შესაფერის მშვენიერებითა.

იგი ზრდის ყოველთა სულდგმულთა
იცავს ყოველსა არსებასა ნათესავითა
ნათესავამდე.

ოდეს აღვახვამთ თვალთა ჩვენთა ცი-
სადმი, დიდება მისი ჰბრწყინავს ყოვე-
ლგან, ოდეს მივაქცევთ თვალთა ქვეყე-
ნისაკენ, ყოველივე სავსე არს შვენიე-
რებითა მისითა.

მთანი და ხევნი აუწყებენ დიდებასა
მისსა მდინარენი და ტყენი აქებენ დი-
დებულებასა მისსა.

შენ, მოკვდავო, საკუთრად ჰპატივი
გცა მოწყალებითა თვისითა და განგა-
დიდა ყოველთა ზედა ქმნილთა: მოგ-
ცა გონიერება დაცვისათვის ხელმწიფო-
ბისა მისისა; ნიჭებულ გყო სრულებით-
თა, მოგცა გონება ფიქრისათვის, რათა
ღონიერ გყოს ცნობითა.

დიდნი და მცირენი, ბრძენნი და
უგუნურნი, განთავისუფლებულნი უდ-
ლისაგან მოკვდავისა ცხოვრებისა, მიი-
ღებენ თანასწორად, ღირსებისამებრ
თვისისა, ნაცვალსა მსჯავრსა დამბადე-
ბლისასა...

—

ეს 28 მუხლი ზნეობისა და ჯანმ-
რთელობაზედ ამოვიღეთ წიგნიდამ „კი-
ტაის სიბრძნე“, რომელიც გადმოთარ-
გმნილია 1777 წელს. წიგნის ბო-
ლოში ტექსტისავე ხელით სწე
რია: „აღიწერა წიგნი ესე კიტაის სი-
ბრძნე ბრძანებითა მათის უმაღლესობის
სრულიად იმერეთის დედოფლის ანნასი-
თა: სამეფოსა ქალაქსა სანკტ-პეტერ-
ბურღს: 1816 წელსა ნოემბრის 11
დღესა: აღიწერა კელითა ოსთა მეფისა
გიორგი ჯანთიმვილისა.“ წიგნი (№328)
საეკკლესიო მუზეუმს გადმოსცა ყ—დ
სამღვდელო კირიონმა, ადავერდელმა,
რომელმაც სხვა ძვირფას წიგნებთან ერ-
თად ქვაბთახევიდამ ჩამოიტანა. ზოგიე-
რთგან გაუგებარი ადგილები შევასწორ-
ლეთ და გრძელი წინა სიტყვაობაც გა-
მოვტოვეთ.

მ. ჯანაშვილი.

## ქართული სტამბები და დაბეჭდილი წიგნები მეჩვიდმეტე საუკუნიდამ (1629 წლიდგან)*).

ტფილისის სტამბები და წიგნების ბეჭდვა XIX საუკუნეში.

9, ქმარი ხუთის ცოლისა, კო-მედია ზ. ანტონოვისა, ტფ. 1852 წ.

10, ვაი ჭკუისაგან, კომ. გრი-ბოედოვისა, თარგ. გ, წინამძღვა-როვისა ტფ. 1853 წ.

11, ქმრები გავაბით მახეში, კომ. მეფისაშვილისა, ტფ. 1852 წ.

12, ცხოვრება მეფის თეიმურაზ პირველისა, აღწერა ლექსად მეფის არჩილ მეორისაგან, გამ. პ. იო-სელიანისა, ტფ. 1853 წ.

13, მოხილვა წმიდათა და სხვა-თა აღმოსავლეთის ადგილებთა ქა-რთლის მთავარ ეპისკოპოზ ტიმო-თესაგან, გამ. პ. იოსელიანისა ტფ. 1852 წ.

14. მოხილვა, ანუ მგზავრობა, იონა რუისის მიტროპოლიტისა, გამ. პ. იოსელიანისა ტფ. 1852 წ.

15, დარიგება ამერიკული თამ-ბაქოს მოყვანისათვის, თარგ. იოსელიანისა, ტფ. 1841 წ.

16, ენდროს მოყვანისათვის, პ. იოსელიანის ნათარგ. ტფ. 1841 წ.

17, მოკლე დარიგება დათესვის, დაკრეფის და შენახვისათვის, ტფ. 1841 წ.

19, ქართული კალენდარი, 1846 წ. გამ. პ. იოსელიანისა.

20, მოკლე სიტყვა, საყმაწვი-ლო ანბანი, ივ. კერესელიძისა, ტფ. 1852 წ.

21, ნაოხარი სოფელი, პოემა ივ კერესელიძისა, ტფ. 1852 წ.

22, მწყემსის სიყვარული, პოემა მისივე, 1855 წ.

23, ქართული ენისათვის წერი-ლი ალ. ორბელიანისა, 1856 წ.

24, ქართული ანბანი, გამ. პ იოსელიანისა 1847 წ. მეორედ 1849 წ. მესამედ 1850, მეოთხედ 1852, მეხუთედ 1854, მეექვსედ 1857 წ. ტფილ.

25, საზოგადო მდივნობა, გამ. 1821 წ.

26, ქოროღლი, კომ. ზ. ანტო-ნოვისა, 1853 წ.

27, ქორწილი ხევსურთა, კომ. ზ. ანტონოვისა, 1853 წ.

28, მე მინდა ქნეინა გავხდე, კომ. ზ. ანტონოვისა, 1851 წ.

29) მზის დაბნელება საქართვე-ლოში, კომ. ზ. ანტონოვისა 1851 წ.

30, ტივით მოგზაურობა, კომ. ზ. ანტონოვისა, 1852 წ.

31, ქართული გრამატიკა, იესე ჩუბინოვისა, 1818 წ.

32, ამბროს ნეკრესელის ქადა-გება, 1881 წ.

33, მზა მეტყველება, ანტონ კა-თალიკოზისა 1887 წ.

34, პოლემიკური საუბარი, მღვ. ინვოლოს ეფენდთან.

35, გზა სამოთხისა, საუკუნო ბედნიერებისა, 1880 წ.

36, მოკლე ახსნა მღვთის ტაძ-რისა, რ. გიგაუროვისაგან 1883 წ.

37, კეთილ-კრძალულებით გუ-ლის ზრახვანი, ჟამსა მოსმენისა, ლიტურღიასა, თარგ. რუსულით, მღ. გრ. ცამციევისა; 1853 წ.

38, დაბადება, ტფილისი 1884 წ.

39, დაუჯდომელი წმიდისა მღვთის მშობლისა 1800 წ.

40, ვრცელი ქრისტიანობრივი კატეხიზმო, ტფილისი, 1865 წ.

41, საქრისტიანო მოძღვრება, თარგმანი ს. ციციშვილისა ტფი-ლისი 1883 წ.

42, ლოცვანი, თარგ. პ. ლორ-თქიფანიძისა, ქუთაისი.

43, ლოცვანი, საქართველოს კათოლიკეთათვის, ტფ. 1864 წ.

44, ახსნა უდიდესთა დღესას-წაულთა მართლმადიდებელ ეკკლე-სიისა, თარგ. რუს. 1876 წ. ტფ.

45, ობლის წერილი მაცხოვარ-თან, ტფილისი 1880 წ.

46, ჟამ-კანონი ვნების კვირისა, თარგ. ლათინურიდამ 1876 წ.

47, მოხსენებისათვის გარდაცვა-ლებულთა, რუსულით მღ. ერ. რაზმაძისა, ტფილისი 1858 წ.

42, შემოკლებული მართლმა-დიდებელთ კატეხიზმო მღ. ერ. რა-რაზმაძის მიერ. 1871 წ.

50, სადღესასწაულო, ტფ. 1800 წ.

51, საცისკრონი ოსურ ქართ-ული.

52, სახელმძღვნელო ლოცვებ-ისა, ათი მცნებისა, ცხრა ნეტარე-ბის მღ. ლაზარე ტურაიშვილისა 1881 წ. ტფილისი.

53, მარწუხი, ანუ შვიდი მსო-ფლიო კრების და ათთა ადგილ-ობითა აღწერა 1810 წ. ტფილისი.

54, სახელმძღვანელო წიგნი სო-ფლის მღვდელთათვის მღ. დავით ღამბაშიძისა, ტფ. 1875 წ.

55, სამღრთო ისტორია ძველი-სა და ახლის აღთქმისა მღ. მ. ყუ-ბანეიშვილისა ტფ. 1885 წ.

56, სამღრთო ისტორია, მღ. დიმიტრი ჯანაშვილის მიერ 1886 წ.

57, ძველი ახთქმის ისტორია, ტფილისი 1879 წ.

(შემდეგი იქნება)

*) იხ. «ცნ. ფურც.» № 805.

# დეპეშები

(«რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან»).

27 აპრილი

**პეტერბურგი.** დღეს, მემკვიდ-რე ცესარევიჩის დაბადების დღეს, ისაკიევის ტაძარში წირვა გარდაი-ხადა პეტერბურგის მიტროპო-ლიტმა ანტონიმ. წირვას დაესწრ-ნენ დიდნი მთავარნი და სამხედ-რო და სამოქალაქო უწყებათა თა-ნამდებობის წარჩინებულნი კაც-

ნი. ქალაქი ბაირაღებით იყო მორთული, საღამოს გაჩირაღდნებული იყო.

**გატჩინო.** დღეს, ტახტის მემკვიდრის დაბადების დღის გამო, გატჩინოს სასახლის ეკკლესიაში სასახლის სამღვდელოების მიერ გარდახდილ იქმნა წირვა. წირვას დაესწრნენ: ხელმწიფე იმპერატორი, ხელმწიფა იმპერატრიცა მარიამ თეოდორეს ასული, დიდი მთავარი მიხეილ ალექსანდრეს ძე, დიდი მთავრინა ოლგა ალექსანდრეს ასული, დიდი მთავარი ალექსანდრე მიხეილის ძე, დიდი მთავრინა ქსენია ალექსანდრეს ასული, მინისტრები იმპერატორის სასახლისა, გარეშე საქმეთა და სამხედრო. წირვის შემდეგ გამართულ იქმნა უმაღლესი საუზმე.

**კიევი.** დღეს დაიწყო გამოცდა სტუდენტებისა სახელმწიფო კომისიებში. ეგზამენების სურვილი განაცხადეს: საისტორიო და საფილოლოგიო კომისიაში 11 კაცმა, ფიზიკისა და მათემატიკისაში—43, იურიდიულში—165, სულ 212 კაცმა. იმათ შორის ებრაელია 21 კათოლიკე—33 აგრეთვე ყველა ფაკულტეტის სტუდენტების ერთი კურსიდგან მეორეში გადასასვლელი ეგზამენებიც დაიწყო.

**პარიზი.** „Eveuement-“ გაუგონია, ვითომც მარშანი მოეკლათ ჯიბუტში მისვლის წინა დღეს, სამინისტროებში გაზეთებმა ვერავითარი ცნობები ვერ იპოვნეს ამ ხმების შესახებ.

**ლონდონი.** „რეიტერის სააგენტოს“-ს დეპეშით ატყობინებენ სიმლიდგან, რომ ავღანის ემირსა და ინდოეთის ვიცე-კოროლს შორის ერთი განუწყვეტელი მეგობრული მიწერ-მოწერა არისო. ასეთი გულ-წრფელი დამოკიდებულება არასოდეს არა ჰქონია ინდოეთის მთავრობას ავღანისტანთან, როგორც ამ ჟამადო.

**პარიზი.** საახალშენო სამინისტროში არავითარი ცნობა არ არის მოსული მარშანის მოკვლის შესახებ.

28 აპრილი

**პეტერბურგი.** დედოფალმა იმპერატრიცამ ალექსანდრა თეოდორეს ასულმა, განიხილა რა მოხსენება შრომის სახლთა კომიტეტისა მოუსავლობით დაზარალებულთათვის შემწეობის აღმოჩენის შესახებ, დაამტკიცა შედგენილი ინსტრუქცია და ბრძანა: გაგზავნილ იქმნან ყაზანისი, ვიატკისა და სიმბირგის გუბერნიებში კომიტეტის წევრი გალკინვრასკი და მარსკისა და უფის გუბერნიებში—კომიტეტისავე წევრი ბარონი ბუკსგევდენი იქ მცხოვრებთათვის შემწეობის აღმოსაჩენად. თითო გაგზავნილს რამდენიმე თანაშემწე დაენიშნება. მათ ნება ექმნებათ შემოწირულებაც მოჰკრიბონ. ორივე რწმუნებული პეტერბურგიდგან დასახელებულ გუბერნიებში წავლენ 1 მაისს. დედოფალმა იმპერატრიცამ კეთილ ინება და იმ თანხის გასაძლიერებლად, რომელიც ხოლო შრომის კომიტეტმა გადასდო დაზარალებულთა სასარგებლოდ, შესწირა თავისის ქონებიდგან 50,000 მანეთი.

# განცხადებანი


იყიდება
„ცნობის ფურცლის“ რედაქციაში
იაფ-ფასიანი
სახალხო გამოცემანი:

თავ. ილია ჭავჭავაძე . 2 „
ალექსანდრე ეპისკოპოსი 2 „
სპარსეთის მეფე და ქართველი ტუსაღი . . . . 2 „
პატარა ბიბლიოთეკა . . 2 „

ვინც ას ცალს გამოიწერს, მანეთზე დაეთმობა ორი აბაზი.
მსურველნი მიჰმართავენ („ცნობის ფურცლის“ რედაქციას. 30—25)

გაზეთ „კავკასის“ კანტორაში
ისყიდება
რუსული ახალი წიგნი
**ნორ-ქალაქ**
(ბინოკლისა)
წერილები უნებურად ორ-ცოლიანისა და საზოგადოდ გაუფრთხილებელის კაცისა.
**ფასი 1 მან.**, გაგზავნით ფოსტით 1 მ. 25 კაპ. წიგნების გამყიდველებს დაეთმობათ 25%.
ამ გამოცემის წმინდა შემოსავალი დანიშნულია გადმოსახლებულთა სასადილოსათვის ტფილისში.
(20—12)

გამოვიდა და ისყიდება ცნობილის და საფრანგეთის საყვარელ პოეტის ბერანჟეს თხზულება.
**„ბერანჟე“**
ქართულად
გ. გვაზავას თარგმანი.
**ფასი 40 კაპ.**
წიგნი მოზრდილია, სუფთაა და ლამაზად არის გამოცემული; შეიცავს 40 საუკეთესო ლექსს და ავტორის სურათს.
ვინც ერთბაშად 10 ცალს გამოიწერს, 20% დაეთმობა „ცნობ. ფურც.“ ხელის მომწერთ წიგნი გაეგზავნება ორიაბაზის ფოსტის ღერკით. (10—10)

*Годъ 3-й.* десять рублей. *Годъ 3-й.*

ОТКРЫТА ПОДПИСКА НА **1899 Г.**
**на ежедневную**
ПОЛИТИЧЕСКУЮ И ЛИТЕРАТУРНОУЮ ГАЗЕТУ
**„НАРОДЪ“**
**(третій годъ изданія)**
Подписная цѣна газеты понижена до **десяти** рублей въ годъ съ пересылкою и доставкою повсемѣстно въ Россіи.

Газета посвящаетъ себя разработкѣ вопросовъ государственной. общественной и хозяйственной жизни русскаго народа.

Въ газетѣ между прочимъ сводится много мѣста вопросамъ желѣзнодорожнаго дѣла въ Россіи. вопросамъ Церковнымъ, вопросамъ ,военнымъ и вопросамъ, касающимся жизни провинціи.

Сообщеніямъ изъ провинціи широко раскрыты страницы газеты, такъ какъ она сознаетъ важную роль, какую все болѣе и болѣе занимаетъ провинція въ жизни Русскаго Государства. Всякое сообщеніе, идущее отъ мѣстныхъ лицъ, касающееся жизни городовъ земствъ, вопросовъ сельско-хозяйственныхъ, торгово-промышленныхъ и т. п., съ благодарностью принимается газетою, если оно проникнуто духомъ общей пользы, а не личныхъ счетовъ. Для болѣе яркаго освѣщенія провинціальной жизни въ газетѣ существуетъ особый отдѣлъ подъ заглавіемъ „Провинціальный фельетонъ“, въ которомъ свѣдѣнія полученныя отъ кореспондентовъ и почерпнутыя изъ провинціальныхъ газетъ, разрабатываются сотрудниками, близко знакомыми съ провинціальной жизнью и специально для Етой работы приглашенными.

*ПОДПИСНАЯ ПЛАТА.*

| | На 1 годъ. | На 6 мѣс. | На 3 мѣс. | На 1 мѣс. |
|---|---|---|---|---|
| **Въ Россіи,** повсемѣстно, съ перес. и доставкой . . . | 10 р. | 5 р.—к | 2 р. 50 к. | 1 р.—к |
| **За Границею,** въ государ. почтоваго союза . . . | 14 » | 7 » 50 » | 3 » 75 » | 1 » 50 |

**подписка принимается:**

Въ С.-ПЕТЕРБУРГѢ: въ Главной Конторѣ газеты, Б. Морская, 36.
МОСКВѢ: въ конторѣ биржевого маклера И. Ю. Шульца (старый гостиный дворъ) въ главномъ газетномъ агентствѣ К. Н. Александровой (на Тверской), а также въ Главномъ Агентствѣ А. Ф. Сенъ-Мартенъ (Неглинный проѣздъ Противъ Гос. Банка.
Гг. провинціальные подписчики благоволятъ обращаться въ Главную Контору газеты въ С.-Петербургѣ.
Редакторъ **Н. Я. Стечькинъ.** Издатель **А. П. Мальшинскій.** (8—2)

*Годъ 3-й.* десять рублей. *Годъ 3-й.*

десять рублей.

**ვ. ტუნიას სტამბა**
ბეჭდავს ყოველ გვარ სასტამბო საქმეს, სადარბაზო ბარათებს და სხვა.
ფასი ყველასათვის ხელ-მისაწდომია.

სტამბა ტელეფონი 648.
**ორთქლით მომუშავე სტამბა**
**ექვთიმე ი. ხელაძისა**
ლორის-მელიქ. ქუჩა № 64, ქაშვეთის ეკკლ. ახლ შენობაში.
(არსებობს 1873 წლიდამ).
ტელეფონი 648.

სტამბამ ახლათ მიიღო: ახალი სისტემის ორთქლით მომ[უშავე] მბეჭდავი მაშანა დიდი ზომისა, მოწყობილი სათვლელი და საქ[აღალდე] ავტომატიური აპპარატებით.
მიღებულია ახალი შრიფტები ჰ. ბერტჰოლდის ასოთ-საჭრ[ელიდამ] (ბერლინში) ყოველნაირი ზომისა და სახისა.
მომუშავეთა რიცხვი შევსებულია დახელოვნებული ოსტატ[ებით].
კისრულობს ყოველგვარ სასტამბო საქმეებს. ბეჭდავს ყვე[ლა] გვლობრივი, რუსული და უცხოეთის ენებზე წიგნებს, ბროშ[ურებს], ბლანკებს, იარლიკებს, პლაკატებს, განცხადებებს, აფიშებს, სა[დარბა]ზო ბარათებს და სხვ. და სხვ.
საქმის ასრულება დროზედ, სუფთად და ყველასთვის ხელმისაწ[ვდომ] ფასათ. ტფილისის გარეშე შეუძლიან წოგვმართონ ამ ადრესით:
Тифлисъ, Типографію **Е. Хеладзе.** (50—